გაუცხოების ტრანსფორმაცია ციფრულ კაპიტალიზმში: მარქსის *1844 წლის ხელნაწერების* აქტუალობა თანამედროვე შრომის ეპოქაში

თემურ ხუნაშვილი

ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოსოფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
(ფილოსოფიის პროგრამა)

აკადემიური ხელმძღვანელი: ლუკა ნახუცრიშვილი
(ფილოსოფიის ასოცირებული პროფესორი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თემურ ხუნაშვილი

11.03.2026.

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი ეხება თანამედროვე გლობალურ პოლიტეკონომიაში მიმდინარე თვისებრივ ცვლილებებს და მიზნად ისახავს ციფრული კაპიტალიზმის პირობებში ადამიანური ყოფიერებისა და შრომითი ურთიერთობების სტრუქტურული ტრანსფორმაციის რეინტერპრეტაციას. კვლევის ცენტრალური ამოცანაა კარლ მარქსის *1844 წლის ეკონომიკურ-ფილოსოფიური ხელნაწერების* კლასიკური კონცეფციის - **გაუცხოების** - აქტუალიზაცია და მისი ანალიტიკური პოტენციალის ჩვენება თანამედროვე ალგორითმულ, ციფრულ გარემოში.

ნაშრომის თეორიული არქიტექტურა ეყრდნობა კრიტიკული თეორიის ხაზოვან განვითარებას. პირველწყაროებად შერჩეულია მარქსის ზემოთ ნახსენები ტექსტი და ლუი ბლანის დაკვირვებები *შრომის ორგანიზაციასთან* დაკავშირებით. კვლევა აგებულია ორ ფუნდამენტურ თეზისზე. პირველი მიმართულია ხაზოვანი ეკონომიკური და ტექნოლოგიური პროგრესის ლიბერალური ნარატივის ჩამოშლისკენ. ფრანკფურტის სკოლის წარმომადგენელთა თეორიებზე დაყრდნობით, ნაშრომში ნაჩვენებია, რომ პროგრესის იდეა დიდ ილუზიას წარმოადგენს. ამ ხაზს ამყარებს თანამედროვე ავტორების - სასკია სასენის, ჯეისონ ჰიკელისა და შოშანა ზუბოფის კვლევები, რომლებიც ადასტურებენ, რომ გლობალური ციფრული წინსვლა რეალურად ეფუძნება ექსპლოატაციის, მიზანმიმართული უთანასწორობისა და განდევნების რაციონალურ პროგრამებს.

მეორე თეზისი აბათილებს იდეოლოგიურ მითს, თითქოს გაუცხოება მხოლოდ ინდუსტრიული კაპიტალიზმის ადრეული ფაზისთვის დამახასიათებელი დროებითი პრობლემა იყო, რომელიც ნეოლიბერალურმა მენეჯერულმა მოქნილობამ გადალახა. ნაშრომი ამტკიცებს, რომ ციფრულ კაპიტალიზმში გაუცხოება არა მხოლოდ არ შესუსტებულა, არამედ მიაღწია თავის აბსოლუტურ ფორმას. კლასიკური ტექსტების კვალდაკვალ, ნაშრომში განხილულია თანამედროვე თეორიებიც, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ როგორ მოიცვა გაუცხოებამ ადამიანის ფსიქიკა, მთლიანი სოციალური ქსოვილი და სუბიექტის თავისუფალი ნება.

კვლევის ძირითადი მიგნებები ცხადყოფს, რომ თანამედროვე კაპიტალიზმი ადამიანურ გამოცდილებებს საქონლად, გასაყიდ ერთეულად აქცევს. თანამედროვე შრომის ეპოქაში სუბიექტი გაუცხოებულია საკუთარი ყოველდღიური ცხოვრებისა და ემოციებისგან. ციფრული პლატფორმები ქმნიან ექსპლოატაციისა და ჩაგვრის ისეთ მექანიზმებს, რომლებიც აღქმადი და იდენტიფიცირებადი საერთოდ არ არის. ესაა ობიექტური ძალადობის ფორმა, რომელიც პროტესტის განცდის უნარს ახშობს, მის ატროფირებას ახდენს. ნაშრომის დასკვნით ნაწილში იდენტიფიცირებულია კვლევის სტრუქტურული შეზღუდვები და დასახულია სამომავლო პერსპექტივები, კერძოდ: ციფრული კაპიტალიზმის ეპოქაში კოგნიტური დაქვემდებარებისგან ემანსიპაციის შესაძლებლობების ძიება და ლოკალური პერიფერიული ერთეულების ემპირიული კვლევა სასენისეული განდევნების კონტექსტში.

საკვანძო ტერმინები: გაუცხოება, ციფრული კაპიტალიზმი, პროგრესის ილუზია, გასაქონლება, წინსვლის ილუზია, შრომა, ექსპლოატაცია, ჩაგვრა;